ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2880209

ნომერი: AR1444084

თარიღი : 28.09.2016

გაცემის თარიღი : 20.10.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მ/რ, II კვარტალი/ ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მიკრო რ/ნი, II კვარტალი, (ნაკვეთი 7/11)-ის მიმდ./ ქალაქი თბილისი , თემქა III მ/რ II კვ. 142-ე სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ასკურავა პ/ნ 01031006213
- თბილისი სანზონა კორ. 1 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 28/09/2016 წლის №AR1444084 განცხადება ამავე სამსახურის 11/07/2016წ. №2697999 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 11/07/2016წ. №2697999 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, თემქის დასახლება, III მ/რ, II კვარტალი / ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო რ/ნ, II კვარტალი, (ნაკვეთი 7/11) -ის მიმდ. / ქალაქი თბილისი, თემქა III მ/რ II კვ. 142-ე სკოლის მიმდებარედ, შ.პ.ს. „ასდოს" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.12.02.007.045) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 11 ივლისიდან 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 11/07/2016წ. №2697999 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და განმარტებულია, რომ უნდა შეიცვალოს ავტოსადგომისა და საზაფხულო ფართობის მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილებით ასევე შეიცვლება საერთო ფართობის მაჩვენებელიც.
განმცხადებლისვე განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელებში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ავტოსადგომის ფართობში სურს ასახოს ეზოს ღია ავტოსადგომების ფართობი - 137.5 კვ.მ, ასევე შენობის +28.80 ნიშნულზე ბრტყელი გადახურვის ნაცვლად მოაწყოს ექსპლუატირებადი სახურავი (ტერასა) - 296.7 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 11/07/2016წ. №2697999 ბრძანებაში მითითებულია ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 526.3; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 424.0; საერთო ფართობი (კვ.მ).: 3963.1; ღია ავტოსადგომის ფართობი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ ფიქსირდება და შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს 11/07/2016წ. №2697999 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობის ცვლილების საფუძველს. რაც შეეხება, შენობის +28.80 ნიშნულზე ბრტყელი გადახურვის ნაცვლად ექსპლუატირებადი სახურავის (ტერასა) მოწყობას, +28.80 ნიშნულის გეგმა წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი ცვლილება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს +28.80 ნიშნულზე ბრტყელი გადახურვის ნაცვლად ექსპლუატირებადი სახურავის (ტერასა) მოწყობის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნება 11/07/2016წ. №2697999 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (კორექტირების) მოთხოვნით წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.